

§ 6. ამ წესდებათა 2 მუხლი მოხსენებულთა ყოველთა სასწავლებელთა ხედრი ხარჯი ძველის მოწოდებით მიეცემა სხვა იმა სასწავლებლის შტატის ხარჯთან მიოდნათ, რამდენი პირობანი ძველის მოწოდება და იმ ზომით, რაც სასწავლებლების დაწესებულების არის განსაზღვრული თვითმეტყველების მოწოდებით; უნივერსიტეტებში და იმ სასწავლებლებში, სადაც პენსიონები არის, ძველის მოწოდებები სტიპენდიას მიიღებენ იმ სასწავლებელთ მთავრობათაგან, რომელთაც მიეცემათ მოწოდებთ პირობანი რიცხვის მიხედვით.

§ 7. სასწავლებლებში მიიღებენ ძველის მოწოდებნი, ანუ ძველის სტიპენდიები მიეცემათ მოსწავლეთა ძველის ნამუსტინის დანიშნებითა, რომელთაც აცნობებს იმ სასწავლებელთ მთავრობას ძველის სასწავლებელთ მზრისა (ოკრულისა) პოპუიტელი, რომელთანაც უნდა ჰქონდეს საქმე სასწავლებლებსა, შესახებ მოწოდებთა სტიპენდიებსა.

§ 8. ძველის მოწოდებნი და სტიპენდიანტები, როგორც სხვა სახელმწიფო ხარჯით აღზღვნი მოწოდებნი და სტიპენდიანტები ექვემდებარებიან იმ პირობათა დაწესებობათ, რაც ყოველ სასწავლებელშია დადგენილი სახელმწიფო ხარჯით აღზღვნი მოწოდებთა და სტიპენდიანტებისათვის. — და მოისმენენ იმავე კურსსა (სწავლასა), როგორც სხვანი, მხოლოდ ამ გამოკლებითა, რომ რომელიც მოწოდებნი რუსის ჩამოშლისათვის არ არიან, შეუძლიან განათვისუფლდნენ მათის სურვილისამებრ (ლიციანურის ნების ვეზამენებისაგან და სლიანურ ენათა და ლიტერატურათა ლექციების მოხსენებისაგან).

§ 9. იმ სასწავლებლებში, რომელშიაც ძველის მოწოდებნი სტიპენდიას იღებენ, ეს მიეცემათ ძველის ნამუსტინისაგან ჩარიცხვის დღიდან, თუ სწავლის დაწყებისა ანუ შესავლელ ვეზამენების ვადაზე მოვლენ. რომელიც არ მოვლენ და არ წარმოადგენენ კანონიერ მოწოდებასა, რომ დაგვიანება მათის მიხედვით არ მოხდა, სტიპენდიას მიიღებენ სასწავლებელში მისვლის დღიდან.

§ 10. ძველის მოწოდებთა სასწავლებელთაგან დასხმონის დროს ანუ სტიპენდიის მოსპობის დროს უსწავლელობისათვის და ცუდიუწყავესისათვის სასწავლებელთა მთავრობა აცნობებს დაუყოვნებლად ძველის სასწავლებელთ მზრის პოპუიტელსა.

§ 11. ამ გვარათ გამოირიცხებიან მოწოდებნი ჩვილმეტ წლოვანობის მიღწეულნი, მოაკლდებიან ყოველსავე მათთვის ძველის მთავრობის ზრუნვასა და შეუძლიან იტხოვრონ ის, რაგვარი ცხოვრებაც დასადაც

უნდათ; რომელთაც ჩვილმეტ წლოვანობის არ მიუღწევიან და სახსარი ცხოვრებისა არა აქვთ ძველისა დაბრუნდებიან დედამისს ანუ ნათესავის ხარჯითა, ვისაც უთხოვნი იმავე მიღებაზე.

§ 12. სადაც ძველის მოწოდებნი არიან იმ სასწავლებელთ მთავრობათა უნდა აცნობონ ძველის სასწავლებელთ მზრის პოპუიტელს რაც ცვლილება მოხდება სასწავლებლებში მიღების წესში და სწავლის პროგრამებში, და აგრეთვე უნდა აცნობონ ხოლმე ნამდვილი ცნობა ძველის მოწოდებთა და სტიპენდიანტების ცარიელი ვაგანციების რიცხვზე აპრილის თხუთმეტამდე. (მეორე იქნება).

„დროების“ კორექციონებისათვის.

მ თ თ ა ის ი. — ი ა ნ გ რ ის 7-ს მ თ თ ა ის ის ჯ ა ჯ კ ე ის ხ ი დ ის დ ა კ ტ ი მ ა .

მუშინ, წყალკრთხევა დღეს ღამის მეცხრე საათზე მოსულიყო ქალაქიდან შეიდი დატირებული ფურგანი. მეფურგუნოები მალაკნები იყვნენ; ერთი მგონია ავლბრელი სომხიც იყო. — პირველი მოსვლა ყოფილა ამათი მუთათისში.

თუმცა მთელი მუთათისი თვითრად იყო შემოსილი თოვლითა და თოვლის სითეთრითაც ცოტად გზაც მოჩნდა, თუმცა აქა-იქაც კუჩქებში ფარნებიც გვისკუპია, რომელთაც ზოგჯერ ანთებენ. — მაგრამ მინც ბნელიადა, რადგანაც ცა მოღრუბლული იყო.

ამ მეფურგუნოებს უეჭველად სცოდნიათ, რომ მუთათისს მდინარეა და ამ მდინარეზე ხილია. — მგონია ის კი არ შეეცყოთ ამ საწყლებს, რომ ამ მდინარეზე ორი ხილია და რომ ამ ორ ხილში, ერთი რკინის არის, — ამ ხილს კარგ მაგარს ამბობენ, თუმცა ფაქტურებს დიდი შილილი აქვთ ზოგ-ზოგჯერ, უფრო ახალ მთვარეზე, მასზე ჩქარა სიარული; — და მეორე ხილი ჯაჭვისა, რუსულად წოდებული ზუბოვის ხილი, რომელსაც ხირხიმალი ძალიან დაზარალებული ჰქონდა.

ძალაქში რომ შემოსულან ამ მეფურგუნოებს გაღმა სდომებით გასვლა, უეჭველად გაღმა ეგულებოდათ თავიანთთვის ბინა და რადგანაც არ იცოდნენ, თუ რომელ ქუჩას უნდა დასდგომოდნენ ხილთან მისასვლელად და გაღმა გასასვლელად, ეკოხათ საწყლებს იქვე ქუჩაში მიმავალ ბიჭისთვის: „ხილი სა-

ითკენ არისა“. — ამ ბიჭსაც უჩვენებია ის გზა, რომელსაც მოუყვანია: ეს ფურგანები ამ კიბჩაევარდნილ ჯაჭვის ხილთან, ესე იგი ზუბოვის ხილთან.

მეფურგუნოებს ვაგებულად შეუყენებიათ ზედ თავიანთი ფურგანები... ზადასულა პირველი, მეორე, მესამე, მეოთხეც ვადასულა არაფერი... მინ იცის კიბჩაევარდნილი კიდევ მალა კენესოდა, რომ ამდენმა ფურგანმა შეუპოვრად დასწავლბულ მუცელზე გადუარა, მაგრამ საწყალი მეფურგუნოები სად გაიგებდნენ, ამის კრაქიკრუქსა, — თუ ცხენების ეჭვნების ხმაურობა და თუ რიონის ღრიალი რას ვაგებინებდნენ? — ბოლოს დაწარჩენი სამი ფურგანი რომ ზედ შედგა — ეღარ აიტანა სწულმა ამდენი სიმწარე — გაუწყდა მარჯვენა ჯაჭვი და ერთბაშით სულ მთლად ეს ხილი თავისი დამალ კოჭებითა, მოაჯრებითა, პოლითა, და ზედ სამი დატირებულ ფურგანებითა მისი ცხენებითა და კურჩებითა ჩაეხეტა ამ საშინელ სიმალლიდგან მდინარეში... წარმოიდგინეთ, რა საზარელი და საშინელი ხმა იქნებოდა! — და თან ამ საშინელ ხმათან, აღქავებულ რიონსა, ერთი წამითა იმ ჩანაქცევ ხილითა შეყენებულსა გაჰქონდა გამოწარებული ღრიალი; მაგრამ ამ რიონის ღრიალზე უმაღლესად მოისმოდა გულსაკლაფი ხმა იმ საწყალ მეფურგუნოებისა, რომელიც იმ საშინელგაში ჩაეყენებულნი, იმ ბნელა ღამეში გაჰკოდნენ საშინელ ხმითა: „ქრისტიანებო! შეიშველეთ! მიღუპებით! შეიშველეთ!“ — ამ ხმაურობაზე და ამ კივილზე გამოცვივებულან გარეთ იქ ახლო მხლო მცხოვრები გაღმა-გამოღმელები; ჰგონებით სახლი ჩაქცეულია თოვლისაგანაო, მაგრამ დაუნახათ, რომ ხილი აღარ არის; ახლა ამათ შეექმნათ ყვირილი... ზამოღმიდგან არაფერი საშველი არ იყო, რადგანაც გაღმის ნაპირისკენ უფრო ახლო იყვნენ ჩაცივებულნი. — მალე ჩაიღვინ კაცები, და რაც შეიძლებოდა იმ ბნელა ღამეში და მდინარე წყალში მიეშველეს ამ წყალში ჩაცივებულ მეფურგუნოებს. — ბედზე რიონი ძალიან დაბატარავებულია; ორი ფურგანი კი წავლო, იმ მეორე ხილის ქვეშ გაეტანა და იქიდან ახლო გიმნაზისთან, სადაც იმ დღეს იორდანე ჰქონდათ გამართული, იმის პირდაპირ გაღმა ქვებთან გაჩერებულიყო.

მართი ფურგანი იქვე ხილის ბურჯთან წავლო, ში ნაპირთან ახლო ჩახეტოილიყო. — გეგეგეგეგე ნაკცევის ხილის ხეებში.

მეფურგუნოები? —
— აბა ერთი წარმოიდგინეთ თქვენ იმოდენ სიმალლიდგან, უკანასკნელი ერთი ათი საყენი მინც იქნება, სიმალლე, ხილი ჩამაქცეს და თან ჩაიტანოს სამი დატირებული ფურგანი თავისი ცხენებით და კურჩებით, ჩაიტანოს და ჩაგდოს მდინარეში, რომელიც გაცოფებული და თავის ხეტოთ მირბის სულ კლდიან ადგილზე, — ბნელა ღამეში, კაცი ჩაგარდეს ამ ნაირად — და ლუკმა-ლუკმა არ დაიმტკრეს და კიდევ სული შერჩეს! — ამ საწყალ მეფურგუნოებს არა თუ სული შერჩათ, ისე გადარჩენ სიკვდილსა, რომ არც არაფერი სტკენიათ. მართლა რომ გასაოცებელია ამ გვარი შემთხვევა. ცხენებიც ზოგიერთი გადურჩენიათ. — რაც საქონელი იყო, თუ ბამბა და თუ სხვა რამ იყო, ერთათ გამოიტანეს მეორე დღესა წყლიდან.

— ასე საკვირველად გადურჩნენ ეს საწყალი მეფურგუნოები დამტკრევას და სიკვდილსა, და ასე უსიკვდილოთ გადურჩნენ თვით ქუთათისლები ამ ახლო ხანებში მოსავლელ უბედურებას.

ის ჯაჭვის ხილი იყო აშენებული მუთათისის მცხოვრებლების ფულებითა უფ. რწინერ ზუბოვისაგან, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მისი აშენება, როგორც გამოცდილ ინჟინერსა.

მართალია მუთათისს და ბევრს იქ მცხოვრებს დიდი ზარალი მიეცა ამ ხილის დაქცევითა, მაგრამ მინც ყველა აქაურებს მართებთ მადლობა შესწირონ ღმერთსა, რომ ასე იაფად გადურჩნენ ამ საშინელ შემთხვევას. რომ ადამიანი არ დაიღუპა, არც სტუმარი და არც შინაური, რომ მაშინ არ ჩატყდა, როდესაც მისვენებდნენ მკვდარსა, რომელსაც მიჰყვებოდა სამი ფურგანის სიმძიმე ხალხი, და რომ გაზაფხულამდინ არ დარჩა, თორემ წყალ დიდობაზე, როგორც ჩვეულება აქვთ აქაურებს, ხილიდგან ყურება მიღებული წყლისა, უეჭველად ერთი უბედურობა რამ მოხდებოდა.

ასე მოვლო ბოლო უფ. ზუბოვის აშენ-

ლობა ეძიოვო“. მაიმე, ძმაო, რომ არც შენა გცოდნებია! თუ რა უნდა გეტქვა ჩემთვის, თუ ჩემს საკუთარს სარგებლობას ეძიებდ. მ. შ. მეთი რალა გინდათ, კიდევ ეგარის, რომ არაეინ ამას არ ეეძიებთ.

ზანა ყოელის მამულის შეილისთვის საკუთარი სარგებლობა არ არის საზოგადოთ ზრუნვა? მისაც კი რამე ესმის, ვისაც კი უყვარს თავისი საშობლო მამული, ის სხვის შეილებზე ისე ზრუნავს, როგორც თავის შეილზე, ამისთვის რომ ისინი ყველანი ერთის მიწისა და იმავე მამულის შეილები არიან და ყველანი იქნებიან განურჩევლათ მოსამსახურენი საზოგადოთ მამულისადმი და არა საკუთრად თავისა თვისისათვის. — მაგრამ გაიგონებთ კი, რომ მოგახსენათ რამე რიგანი? ძალიან ეჭვი მაქვს!

ძილვე მტყვიის ვინმე, თუ ხეირიანს რასმე გვეტყვი, ვინ იქნება ისეთი უგუნური არ გაიგონასო? —

ბატონი ბძანდებით მოგახსენებთ; მაგრამ ვაი, რომ ტყფილათ ენა დავდლო, ამისი შეშინიან.

აი, თუ თვითოეულს მამას როგორ შეუმსუბუქდება შეილის გამოზდა აქაურს სასწავლებელში? პირველათ მოვიყვან მე ანგაროშს, თუ თვითო მამის რაოდენი გასავალი აქვს თითოს შეილზე მუთათისში და რომ ისიც უქმად იკარგება. —

რაც უნდა ცუდს სახლში უდგეს უმარწვლილი მამას, ერთს წელიწადში მინც ეხარჯება სახლის ქირა ოცი, ან ოცდა ხუთი მანეთი (25 მან).

მართს კაცის ხელს უნდება ჰური, ღამი ან მქადი კვირაში ერთი ბათმანი, წელიწადში ორმოცდა თორმეტი ბათმანი, რომლის ფასი შეადგენს ერთი მეორეზედ (ბათმანი რომ ორ აბაზათ გაიყოდოს) ოცს მანეთს და ოთხ აბაზს (20 მან. 80 კაპ).

ხორცი, თევზი, თუ სამარხო ორი შაურის ხომ მინც უნდა მისცეთ დღეში; ესეც შეადგენს ოცდა თექვსმეტს მანეთს და ათ შაურს წელიწადში (36 მან. 30 კაპ).

სამთელიც კვირაში მოუწდება, სულ ცოტა, ერთი გირვანქა. ამანაც შეადგინა, გირვანქა შეიღს შაურად, თვრამეტი მანეთი და ორი შაური (18 მან. და 10 კაპ. წელიწადში).

ახლა შეშა რაც ცოტა უნდა მისცეთ ორკვირაში ერთი იმერული ურემი მინც მოუწდება. შრემი ღირს მუთათისში ორის მანეთიდან სამს მანეთამდინ, ესეც შეადგენს ორის მანეთიდან ორმოცდა თორმეტს მანეთსა წელიწადში (52 მან).

მარლი, თუ სხვა რამ საქრო მასალაც ხომ დასჭირდება, ვაკმაოთ ხუთის მანეთისა (5 მან).

შეშ-საგებზე და ტანსამოსზე ხუთი თუმანი ძალიან ცოტაც არის, მაგრამ ეს ვაკმაროთ სარცხის ქირათაცა (50 მან).

შაწვილს ბიჭი ხომ უნდა ჰყვანდეს მოსამსახურეთ და მომგელათ, რომლის ქირა ხუთის თუმანიდან არის ექვს თუმანიდ (50 მან).

ახლა იმ ბიჭსაც ხომ უნდა მისცეთ ჰური და საქადი ისრე, როგორც ყმაწვილს, ორმოცდა ჩვილმეტის მანეთის და ექვსის შაურისა,

(57 მან. 30 კაპ), რომლის ჯამი შეადგენს სრულიად გასავალს წელიწადში, რაც ეხლა ეხარჯებთ 264 მანეთი და 70 კაპიკი. და ესეც, როგორც ზევით ვთქვით, უქმათ იკარგება. — რომ არც ამდენი ხარჯი გაუვიდეთ მამებს და შეილებიც კარგათ დაბინავებული ჰყვანდეთ, ეს ადვილათ მოხერხდება, თურომ მამები მოინდომებენ.

აი როგორ? შირველესად ყველაზე საჭიროა, რომ როგანი ადგილსაყოფელი ქონდეთ ყმაწვილებს და პატრონად იყვნენ დაბინავებულნი, და ეს რომ ადვილი არის, თვით მიჰხედვით.

შმართებლობისაგან საზნაურო სახლის ასაშენებლათ აზნაურებს ადგილი ბოძებული აქვთ; ახლა ფულია საჭირო. სახლის ასაშენებლათ იმას ესეც აქვს: 50,000 მანეთი მოწობების ბაჟისა აზნაურების ღირსებაზე, რომელიც ჯერ არ შემოუტანიათ და განკარგულება მოვახდინეთ, რომ ორის თვის განმავლობაში შემოიტანონ.

ამაზედ ეჭვი არ არის, რომ მრავალთა შორის კეთილთა ყურადღებათა შმართებლობისაგან აზნაურებზე ნება მოგვეცემა ეს ჩვენი ფული მოვიხმაროთ ასაშენებლად სახლისათვის ღირს შეილების დასაბინავებლათ, და რომ მამას არ გაუდიოდეს გასავალი თითოეულს წელიწადს რაოდენიც ახლა გაუდის (264 მან. 70 კაპ.), შემოიტანონ შემდგომში 120 მანეთი ჰნებათ ფულათ და თუ ჰნებათ ჰურათ, სიმინდათ, ან ღამათ. ამ გვარის ღონისძიებით ყმაწვილებიც კარგათ და როგანიათ

დაბინავებულნი იქნებიან და დედ-მამაც თავისუფალნი იქნებიან ყოველს კვირაში აძლიონ საგძალი სოფლიდამ, მანამდინ ბანკიც დაიწყებს მოქმედებას, რომლის სარგებლიდამაც დიდი შემწობა ექნება ღარიბ აზნაურებს შეილების გამოსაზრდელათ და უმაღლესს სასწავლებელში გასაგზავნათ.

მგონია, მართლად ავიხსენით, თქვენი შეილები თუ რა მდგომარებაში არიან და ამ ნაირს მდგომარებას რა წამალი აქვს. მს საქმე არც კეთილშობილთ წინამძღოლის არჩევას ჰგავს, არც დეპუტატისას, რომ ერთი ან მეორე მხარე წინააღმდეგი გახდეს ამაში. მოველო ბედი და უბედურება ჩვენის ქვეყნისა ამაზეა დამოკიდებული, რომ გამოვიდეთ იმ მძიმეს მდგომარებადამ, რაც ჩვენ უსწავლელობით გვეკის.

შოვლად მოწყალე ხელმწიფეს გასავალი არა ჰშურს ჩვენის შეილების განათლებისათვის; მმართებლობა ძალიან ჰზრუნავს გაუმჯობესოს იმათი მდგომარეობა და ჩვენც ვიფურქოთ რამე, ჩვენი შეილები ჩვენს გულზე უფრო მახლობლნი არ უნდა იყვნენ? დრო არის შევხედოთ, თუ რა დიდებულს მდგომარეობაში არიან ხალხნი განათლების გამო, დრო არის ჩვენ განათლებულს ჩვენვე ვიზრუნოთ? იმედი მაქვს ამ ჩემს სიტყვაზე არ გაამართლებენ იმ ანდაზას, რომელიც ხშირათ არის მდებარე ხალხს შორის სალაპარაკოთ: „ჯოჯოხეთში თქმა იყოვო და გაგება არაო? —

მ. ა. მიქელაძე.
მუთათისის გუბერნიის კეთილ-შობილთ წინამძღოლელი.
ა იანვარს 1869 წელს, მ. მუთათისი.

ბულ ჯაჭვის ხილსა. ღარჩა ისევე ძველი ბურჯები და მასხედ აყვანილი ოთხი ქვიტორის ახალი სევეტები, რომელწინადაც იყო გაბმული აქეთ და იქით ორი ჯაჭვი ერთი ამ ჯაჭვებთან და რჩა მთლად, მეორე გაწყვეტილია და წყალში უგდია თავი.

მ: მ უ თ ა ი ს ი. მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ი უ ბ ე დ უ რ ე ბ ა. 1869-სა იანვრის 6-სა, ნათლიღება ღამეს.

იანვრის 6-სა ღამეს 9 საათზედ შემოვიდნენ მუთაისს ტფილისტიგან მალაქებისა და ავლაბრელების 9 ფურგუნი, დატვირთული სხვა და სხვა საქონლით ბაზით, თუ მანიფაქტურით და რაოდენიმე პირი, მათს ფურგუნში მჯდომარე მგზავრები.

მს ფურგანები წყალწითელას სასტავასთან რომ მოვიდნენ ქალაქში შემოსასვლელათ, დასტოვეს ჩვეულებრივ სასაირულლო შარა სიშორისა გამო და უგზოობისა გამო, წამოვიდნენ ახალს ვაჭრის სასაფლაოების შარაზენდ, რომელმაც ჩამოიყვანა ისინი პოლიციასთან. შემდეგ ჩამოიყვანა აქოვაშვილის ქუჩაზედ, ჩამოუხვიეს საყასპოსთან, და, რადგან მუთაისს ჯერ არ ყოფილიყვნენ, იკითხეს იქ ხილთან რომ ფურგანების საბინაო ალაგია საითკენ არისო. მიღაც კაცმა ასწავლა, ხილი აგერ არისო და ფურგანების საბინაოზე კი არასფერი არ უთქვამს. მს მეფურგუნები კი ხედავდენ, რომ ფარგების სინათლით ჩნდა ხილი, მაგრამ რომელი ხილი იყო არ იცოდნენ და ამ კაცის ნასწავლ სიტყვებს უსმინეს და, ამ საძაგელს თოვლ-ქვაპში, საშინელ სიცივიან ბუქში შეუდგნენ ამ ორი წლის ახალს ვაკეთებულს ჯაჭვის ხილს და ხუთი ფურგანი თავისუფლათ მშვიდობიანათ, როგორც იყო, გავიდა გაღმით მხარეს და დანარჩენი უკან მიჰყოლი ოთხი ფურგანი რომ შედგა ამ ხილზედ, ერთი რაღაცა უეცარი დანგრევის ხმა გაჩნდა და თავიდან ბოლომდის ეს ხილი ჩაინგრა და ოთხივე ფურგანი თავისის საქონლით და პასაჟირით, ცხენებით და მეფურგუნეებით ქვეშ მოიშრყვია და ეს ოთხ ვერშოკიანი სიმგრავლით რკინის ჯაჭვი მარჯვენა გვერდზე ფერძის მხრით გაწყდა. 12 საუნი სიგძით ზედ ამ ფურგუნებს დაეცა. ამ დროს შეიქნა ერთი საშინელი ხმაურობა და ყვირილი, ვინ ხართ ქრისტიანი გვიშველეთო, ამ საზარელი ხმის უეცრათ გამგონნი, ხალხნი ხილის ჩატეხის ხმაურობისა და ყვირილისა გამო, აღიძრნენ, მიიბრინეს და ნახეს რომ ხილი აღარ არის და ძირს ჰყვირიან: ვინ ხართ ქრისტიანი გვიშველეთო, მსმენელი ამ ხმასა მაშინვე ჩაიჭრენ რიონის პირებზე, სდიეს, მაგრამ ვინ რას მიეშველებოდა, რადგან ბნელი ღამე იყო და ყრვა და ბუქი. ბევრმა შესტურა ამ რიონში, მაგრამ საბრალოებს ვერაფერი საშველი ვერ მისცეს.

ამ ჩხენებულს ფურგანებში ორი ფურგანი ცხენებით და მეფურგანებით თავის საქონლით თურთ წყალმა პოკოჩოვის აბანომდის მოათრია, რა რომ შეუნიშნავ ავლაბრელს მეფურგუნეს, რომ ბედისაგან განწირულება ემართება გადახტა ფურგანიდან და გლმა ხველზედ გასტურა და ფურგონი კი ლეთის ამანათათ გაუშვა. მეორე მალაქანმა შმართა ფურგუნი ვიდრე რკინის ხილამდე და რკინის ხილთან ესეც ისრე მოიქცა ვითარცა პირველი, და ხალხმა, როგორც იყო, იხსნა ეს მალაქანი დახრზობისაგან. შურგანები ჩაიტანა ზოგი ცხენების ღონემ და ზოგი წყლის ძალამ გიმნაზიასა და ნიკოლაძის ქარვასლამდის შუა მდინარეში. 4 ცხენი დაიხრზო და ორი როგორც იყო გამოიყვანეს; დანარჩენი ორი ფურგანი მომწყვდნენ ცხენებით ამ რკინის ხილის ქვეშ.

ცხენები იქვე დაიხრზენ, და მალაქანი ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს; ამითი, ღმერთმა იცის, ზოგნი გადარჩებოდნ თუ არა გალახულობისაგან. ამ ფურგანებში მჯდომარენი პასაჟირები ვინ იყვნენ არ იციან და არც ამ მეფურგუნებს ახსოვსთ. ისინი სწორეთ უნდა დამხრზალიყვნენ.

იმ ფურგანში, რომელიც ხილს ქვეშეთს არის მომწყვდეული, როგორც ვხედავთ, შეკრული ბაზმები აწყვია და გატაცებულს ფურგანებში ყოფილა ტფილისელისა და ქუთათურების საქონელი, მაგრამ იმ ღამეს რაღას უშველიდნენ: ხალხი სულითა და გულით მონდომებულნი იყო, რომ ეშველა და შეწვოდა, მაგრამ რა გზით, რომ საშუალება არ იყო. მუთაისში ტივები არ არის, ნაყვები არ იციან. როდის პოლიციადგან ჩანგლებს მოიტანდნენ, როდის მაშხალეხსა, ამასობაში რაოდენიმე წილი საქონელისა წყალმა კიდევ ააცურა და წაიღო. მეფურგანებო ასეთ საცოდობაში იყვნენ, ენა ვერ გამოსტევიდა, ჯავრისაგან გავიწყდნენ და თავს იხრზოდნენ უკეთუ ხალხს არ დაეკოათ. ამბობდნენ ჩვენს ოჯახს ცხენები არჩენდნენო და ახლა ოჯახში რიღათი მივიდეთო, ჩვენც ვალგების პატრონები ვართო და სჯობია ჩვენც ჩვენ ცხენებთან წავიდეთო, და ერთმა კიდევ გარდებლო თავი წყალში, მაგრამ სისწრაფით ეტაკნენ და დაიხსნეს დახრზობისაგან იმდენს ხალხში ვინ დაარჩობდა ამ საბრალოებს.

დ. ა. მუთაისს, 1869

ჯონ სტუარტ მილლის წერილი

ს. პეტერბურგის მედიკოსტში არის დაბეჭდილი: ყველა ამ წლის გაზვიებში იყო გადამბეჭდილი, სახელ წოდება რუსის ქალებისა, რომელთაც გამოუტყდადეს სიამოვნებით საღამო სხვა და სხვა რუსეთის უნეტულოდგან იმ პეტერბურგის ქალებისა, რომელნიც ცდილობდნენ დაწესებას აქა უმაღლესი სწავლის კურსისა ქალებისათვის და რასაკვირველია ჩვენ წამკითხაეთ ახსოვთ სახელწოდებანი: ძალი-შელი, სმოლენსკელი, პოლტაველი და შიატკელი ქალებისა; ამ მხურვალიდ მიზიდვლის განცხადების შესახებ უფარეს საზოგადო საქმეს მოემატა ამ დღეებში კიდევ ერთი განცხადება განთქმული სწავლული, მწერალი და პუბლიცისტი. ჯონ-სტუარტ მილლმა, (ამ ახლო ხანში) მყოფმა წევრად ანგლიის პარლამენტისა გამოუგზავნა პეტერბურგელ ქალებს, რომელნიც ზრუნენ ამ საქმისათვის, შემდგომი წიგნი:

მ ო წ ყ ა ლ ე ნ ო ხ ე ლ მ წ ი ფ ა ნ ო.

მე შევიტყე სიამოვნების გრძობითა და ამასთანავე პატივისცემით, რომ რუსეთში აღმოჩნდნენ განათლებულნი და გულადონი ქალები, რომელნიცა ცდილობდნენ და თხოულობდნენ თვისი საქმისათვის მონაწილეობის მიღებას სხვა და სხვა უმაღლესს განათლებაში: ისტორიულს, ფილოლოგიულს და საზოგადოთ ყოველს გვარს ნაწილში, მათ შორის საეკიმო სწავლის ნაწილშიცა იმ აზრით, რომ მიანიჭონ ამ საქმეს შესანიშნავი საფუძველი სწავლულს ქვეყანაში. ამასთანავე ითხოვენ შეუწყეტელად და უმეტესად განერცელებით, ყველანი თვით უგანათლებულსნი ხალხნი მთელი ევროპისა, მაგრამ ვერ ეწიენენ ჯერ სრულს სურვილსა. იქნება, თქვენის შემწეობით, მოწყალენო ხელმწიფანო, რუსეთმა გაასწარს იმათ; მაშინ ეს იქნება დასამტკიცებელი საბუთი იმისი, რომ განათლებულნი საზოგადოებანი, რომელიც სხეებზედ ჰბუტნი არიან ზოგჯერ უფრო მალე მიიღებენ ხოლმე უაღრესს ჰაზრსა განათლებისასა, ვიდრე ძველნი. მართლად მიღება ორთავე სქესისათვის გონების გახსნისა ფრიად სასარგებლოა მთელის ქვეყნის ცივილიზაციისთვის და არა მხოლოდ ქალებისათვის, თუმცა, რასაკვირველია, საქმეურია მათთვის. მე ღრმად ვარ დარწმუნებული მასზედ, რომ ზნეობითი და გონებითი გახსნა მამრობითი სქესისა ძრიელ ჩამორჩება უკანა, თუ ქალების გონების გახსნა დარჩა უძრავად, ეს იმისთვის კი არ მოხდება ესრედ, რომ არავის არ შეუძლიან ბავშვებს უყოს დედობა მათ სწავლის საქმეში, არამედ იმ მიზეზებითაც, რომ მათი (ყოლებისა) განვლენა თვით კაცებზედაც, თვისის მუელის ხსნათვლად და ჰაზრზედ არ შეიძლება არ იყოს შესანიშნავი;

უნდა უთუოდ ცოლი თავის მეუღლეს ან წარმატების ჰაზრს აძლევდეს, ან უკან აყენებდეს და ამისათვის მე წრფელის გულით ვაქებ თქვენს ზრუნვას, და აგრეთვე ცდას განათლებული ხალხისას, რომელნიც შემწეობას გაძლევდნ თქვენ და მაქვს იმედი თქვენს მიერ გამოჩენილი სიმაგრისა, როგორათაც წინანდლისა, რომ თქვენ არ დაჰკარგავთ თქვენს მხნეობას და ყოველის ღონისძიებით ეცდებით დაამკვიდროთ სიმაართლე თქვენს საქმისა, რომელიც ჩვენს განათლებულს საუკუნეში, გვიამდოვენებს მოკლეს ხანში მოგვცეს სრული ნაყოფი. მიიღეთ, მოწყალენო ხელმწიფანო, გულწრფელი ჩემი უმდაბლესი პატივისცემა და ცხოველი ტრფობა.

ჯონ სტუარტ მილლი.— ავინიონი, 18 დეკემბერს 1868 წ.—

აბაბაი მელიქოხიზადიულის აქადემიაში პეტერბურგს

დეკემბრის 23 მედიკოს-ხირურგიულს აქადემიაში იყო აკტი კონფერანციის პატარა ზალაში. ბარემე ხალხი ცოტა იყო; ქალებს შორის ყველამ შენიშნეს ენხიანი მომღერალი ქალი უფ. ლუკა, რომელმაცა დიდის ხალხით წარსულს წელს მიიღო მონაწილეობა იმ კანცერტში, რომელიც იყო ღარიბი აკადემიის სტუდენტების სასარგებლოდ. ამ ქალმა თვითონ სთხოვა წიგნით აკადემიის პრეზიდენტსა უფ. ნარანოვისსა, ნების დართვა აქტი დასწრებისა, და იქ თვითონ გამოაცხადა სურვილი ღარიბი სტუდენტებისა კანცერტში მონაწილეობის მიღებისა ამ წელსაცა. (კანცერტი იქნება კარგს დღეებში). აქტი დაიწყო მაშინ როდესაც ზალაში შემოვიდა უფ. სამხედრო მინისტრი პირდაპირ აკადემიის ეკლესიიდან, სადაც იყო წირვა და პარაკლისი. აკადემიის სეკრეტრის ფრიად დიდი აღწერილებიდან, რომელიც იმან წაიკითხა, ჩვენ იმედი გვაქვს ამ დღეებში, გაცნობოთ შესანიშნავი ცნობები იმ წარმატებაში მოყვანილებად მედიკოს-ხირურგიულს აკადემიაში, რომელიც მოხდა უკანასკნელს ათას წელიწადში. მხლა კი ნოვასენებთ მხოლოდ იმასა, რომ ამ ქამად აკადემიაში იმყოფება 1135 მოწაფე, 46 მასწავლებელი, მხოლოდ ერთი კათედრა არის დარჩენილი უპრაფესოროთ. შუ. სეკრეტარმა წაიკითხა გძელი სია თხზულებებისა და საქმეებისა აკადემიის პრაფესორების მოქმედებისა წარსულს წელს. იმდროს, როდესაც კითხულობდნენ, მოვიდა მოსკოვის მიტროპოლიტი, ყოველად უსამღვდელოესი ინოკენტი. აკადემიაში დარჩა კურს შესრულებულთაგანი 8 კაცი; ექიმის დიპლომები მიიღეს 65-მა. მქროს მენდლები მიიღო ორმა: უფ. მარამილა და სლავიანსკიმ. ამას და გარდა ოქროს მედლის დიპლომები მიიღეს სტიპენდიანტმა ბ. შიკოვის ხალხთაგანმა ბარბარე ქაშევაროვისამა და საქონლის ექიმმა უფ. ბარადულინმა. როდესაც აკადემიის სეკრეტარმა ახსენა ქაშევაროვის სახელი, ზალაში შეიქმნა ტამის-კერა და ძახილი ბრაოსი. პურს შესრულებულები, რომელთაც უქანდა სეკრეტარი, გამოდიოდნენ წინა და ამ დროს უკრავდა ზუსიკა და აძლევდა იმათ დიპლომებსა და მენდლებსა ყოველად უსამღვდელოესი. როდესაც აქტი გათავდა, ბარბარე ქაშევაროვისა სტუდენტებმა ჩასვეს კრესლაში და ატარეს ზალაში; აგრეთვე ლუკაც ატარეს კრესლით და მიიყვანეს კარეტამდინ. ბარბარე ქაშევაროვისა დარჩება ექიმად სამი წელიწადი სამშობარო ინსტიტუტში, რომელიც არის მ. ი. შ. ღადის მთავრინა ქლენე პავლეს ასულისა მფარველობასა ქვეშე.

პოლიტიკა.

საბერძნეთმა უთხრა სრული უარი ოსმალეთსა ულტიმატუმის მიღებაზედ. დალომა-ტურ მიწრილობაში საბერძნეთის უცხო ქვე-

ყნების საქმის მინისტრმა უფ. ღელიანმა უპასუხა, რომ არც ერთი თქვენი მოთხოვნისა არ არის კანონიერიო. პანდიელების გადაყვანაში ჩვენ მივიღეთ დიდი მონაწილეობა, რომლითაც ბევრი დაეკარგეთ ხალხის აზრშიო. მანამდრობანი არა ზოგადდნენ არაფერს ამ საქმის შევლისათვის. ზოგს ეგონათ, რომ მეცა და ჩემ ამხანაგებსაც გესურდა კანდის ბუნტის დამშვიდება. ხალხს ეგონა, რომ ჩვენ ვიყავით ჩუმთა დაქრთამულნი ოსმალეთის მმართველობისაგან. არა სჯეროდათ, რომ კანდიელებს თავისით მოეწადინებინათ დაბრუნება სამშობლოში. არა სჯეროდათ, რომ ისინი მოიწადინებდნენ უკანვე დაბრუნებასა, როდესაც ცვიედობოდნენ ზღვაში და ისე გარს უდგებოდნენ უცხო ქვეყნების გემებსა, რომ იმათ მოეჩინათ გაჭირებდგან, მერე ისიც იმ დროსა ბრუნდებოდნენ უკანა, როდესაც იმათი მომძენი ისევი დიდს ვაჭირებებაში იყვნენ კანდაში და თოფიარლით ხელში იცადნენ თავისუფლებასა. პაროლის მმართველობამ ყური არ ადვენა ხალხის ლაპარაკსა და გაიკიცხავსა. მკედრი თავის აღსრულებაში, იმან მისწერა, რომ უკან დაბრუნებულ კანდიელებს არა გაუჭირდესთ რაო. რაც კი შეეხება იმასა, რომ საბერძნეთში გროვდება ეოლონტრები კანდიელების მისაშველებლად, ეს იმისთანა ამბავი არ არის, რომელსაც შეეძლოს ორი მწეობლათ მყოფი სახელმწიფოს ერთმანერთზედ აღშფოთება. მს ამბავი იყო პანდაში ომის ატეხიდანვე, და საბერძნეთიდან მიდიოდნენ ეოლონტრები ინსურგენტების მისაშველებლად. იქ მიდიოდნენ ბევრწილად ის აფიცრები, რომელნიც იყვნენ სამახურს გარეთა, ანუ გამოდიოდნენ სამახურიდან წასვლაზედ უწინ. ოსმალეთის მმართველობამ მოგვეწერა ამაზედ, მაგრამ მაშინვე მოგვეწერეთ, რომ კაროლის მმართველობას არ შეუძლიან დაშლა ეოლონტრების წასვლისა, ამიტომ რომ იქ მიდიან თავისუფლანი მოქალაქენი, რომელთაცა აქვთ სრული ნება როგორცა ჰსურდეთ, ისე მოიქცენ. პაროლის მმართველობა არ გავრევა ამ საქმეში. სხვა კი არა შეუძლიან რა იმას. მსეც დიდი საქმე არის, ამიტომ რომ საბერძნეთის ხალხი გრძობს კანდიელების ქრისტიანებთან ძმურს სიყვარულსა, რომელსაც მმართველობა სრულებით გულ გრილათ ვერ უყურებს. ულტიმატუმის პასუხათ ღელიანმა მოიხსენა შემდეგი გარემობანი, რომელნიც წარუდგინა ოსმალეთის სრული ნების მქონე ელჩს, შოტადეს—ბეგსა: „მინისტრო, დიდ სამწუხაროდ, მაგრამ— გაუციფრებლათ ვაიგო კაროლის მმართველობამ ის მდგომარეობა, რომელიც მიუღია შალას ოსმალეთს საბერძნეთის შესახებ. თქვენის უწინდელი წიგნებიდანვე სჩანდა, რა განზრახვაც ჰქონდა ოსმალეთის მთავრობას. ოსმალეთს სულ სხვა აზრები აქვს შედგენილი. მე ტყუილათ ვცდილობდი ჩამგონებინა თქვენთვის, რომ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის იმისთანა არა მომხდარა რა, რომელსაც შესძლებოდეს აეშლა ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთთან. მე რომ პასუხი გამოგვგზავნეთ, იმის ორი დღის შემდეგ, თქვენ გამოგზავნეთ ჩემთან ნოტა სახელად ულტიმატუმი. ულტიმატუმი არცკი მოიხსენეთ მიგილიათ ჩემი პასუხი თუ არა, და მაშინვე მიშართეთ მმართველობას და მოსთხოვეთ ისეთი საგნის ასრულება, რომელიც არ ეთანხმება საბერძნეთის სახელმწიფო კანონებსა და იმის მმართველობის შეუფერებელნი არიან. ამისთან სრულებით შეცდომით მიგილიათ მიზეზათ განხეთქილებისა, რომ ვითომც კანდიელების ემიგრანტები ჩვენ მოტყუებით გადმოგვყევანოს საბერძნეთში და ოსმალეთის ხალხსაც ძალას ვატანდეთ. ჩემგან მოწერილს წიგნში თუმცა საქმათ არის ნათქვამი ამ საგანზედა, მაგრამ რაკი ოსმალეთი ასე მოუჭრიდებლათა კერპობს, ამიტომ



ტიტყვი კიდევ რამდენსამე აზრსა, რომ რაც მოხდა, სხვა აზრით არ შეზღვედნ იმასა. საჭიროდ არ შეერაცხე მომეყვანა მიხეზნი და გაერყვლება ქანდიის აბუტებისა. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ კანდილებს უარი უთხრა ოსმალითა მართალს მოთხოვნილებასზედ. და, რომ გამოსცადეს დიდი შევიწროება ოსმალითის უფლებებისაგან, მაშინვე აღდეს თოფი იარაღი, რომ ემოვათ თავისუფლება. შევლამ იცის, კანდილები ბერძნების კამიტეტებისაგან არ აბუტდნენ. მოუთმენელი შეწყუხება ოსმალითისაგან და იმათი გუბერნატორების კუდი მმართველობა იყენენ მიხეზად, რომ კანდილებმა მოახსენეს უკანასკნელი დონის ძიება. ისინი თხოულობდნენ, რომ ყველა მოქალაქეთა ჰქონოდათ უფლებანი, რომელიც ეძლეოდათ იმათ ბატონი-მთემთმით, და რომელიც დარჩა შეუსრულებელი. როდესაც კანდილები მოემზადნენ საომარდ ოსმალითთან, მაშინ იმათ ჯერ არა ფერი არა ჰქონდათ რა მომზადებული. საბერძნეთში ჯერ არ იყო მომზადებული არც ერთი კამიტეტი; შემდეგ რამდენიმე ხნისა საბერძნეთშიცა და სხვა განათლებულ ქვეყნების ხალხმაც მოინდომა საწყლების მიხვედნა და ამისთვის გამართეს სამსლვარს გარეთ კომიტეტები. როგორ შეიძლება დარწმუნება ვისიმე, იმაზედ ვითომც უბედური კუნძულები ყოფილიყვნენ კმაყოფილნი თავიანთი მდგომარებისა, ვითომც ისინი ყოფილიყვნენ წარმატებულნი, ვითომც სულთნის მმართველობასაც ჰქონდეს მამობრიული მზრუნველობა იმათზედ, და საბერძნეთის კამიტეტებმა კი დაჩუმა-ემისარებმა აბუტეს ისინი. მინ დაიჯერებს, რომ ვითომც კუნძულებმა მხოლოდ კამიტეტებსა და ემისარებს დაუჯერეს და დასტოვეს ყოველი თავიანთი ქონება, წაეიდნენ მთებში, და იქ გამოსცადეს საშინელი სიცივე და შიმშილი. მინ დაიჯერებს, რომ კანდილებმა კამიტეტების სიტყვით ირჩივეს ათასობით დაღუპვა, ვიდრე ოსმალოს სალდათების ხელში ჩაეცივნა. ამავზედ ვისიმე დარწმუნება ჰგავს დაცივნას გონებაზე და სიმათლესზედ. მქვენ ამბობთ, უფალო მინისტრო, რომ არც ერთი განათლებული ხალხის ისტორიაში ვერა ვპოვებთ ამ გვარს სახალხო კანონების დაუბრუნებლობასა, როგორცაც ვპოვებთ ქანდიის კამიტეტებშიაო. მაშ ერთი თქვენც მიბრძანეთ, — რომელი განათლებული ხალხის ისტორიაში ვპოვებთ იმ გვარ უღმერთობასა, როგორითაც ოსმალითის მმართველობა იკლებს საბრალეო კანდიასა? აუარებელი სასტიკობა ოსმალითის სალდათებისა საწყალს ტყვეებზედ, რომელიც არიან უიარაღოთ, შიმვლნი, მშიერნი, ამღერეს ყველა მმართველობას, და ყველამაც მიიღო მონაწილეობა იმათში. „შემდეგ დელიანი უმტყციებს ოსმალითის ელჩსა, რომ ქანდიის სახლობა გადმოასხნეს საბერძნეთში გემებმა ანგლიისამ, შრანციისამ, რუსეთისამ, აესტრიისამ, იტალიისამ, რომელიც კაცობრიულათ მოიქცნენ და კანდილების სახლობათა გაიხარეს საბერძნეთის სტუმართ მოყვარებისაგანაო; ამაზედ მმართველობა ბერესაცა ხარჯავსო. შემდეგ ულტუმატუმის ხუთს მუხლს ჰსინჯავს და უმტყციებს, რომ კაროლის მმართველობას არ შეუძლიან დაუშალოს ვოლონტერებს შეველა ქანდიის ინსურგენტებსაო. ამ უკანასკნელს დროს რომ მეროპაში და ამერიკაში იმი იყო, მაშინაც ბერძნები მიიღოდნენ და შეველოდნენ მართართ, ზოგი ერთის მხრიდან, ზოგი მეორედანაო, მაგრამ არც ერთს სახელმწიფოს არ მოუთხოვნია ჩვენგან, რომ ვოლონტერებისათვის დავეშალა. მეორეს მხრით ქანდიის მართა ბერძნები არა იმობენო, იქ არიან ანგლიელები, ფრანკლები, ამერიკელები, ვენგერები, შავი მთელები და რა-

ტომ იმათ სახელმწიფოებშიაც არა გზავნი ოსმალითი ულტუმატუმებსაო? ბერძნისათვის ნახსადგურების დაცვაზედაც უარს ეუბნება, რადგანაც ისინი არც ერთს ზღვის კანონებს არ გადასდგომიანო. მესამე და მეოთხე მუხლში ოსმალითი თხოულობს საბერძნეთისაგან კანდიელთა მცხოვრებთა უკანვე დაბრუნებასა და ვისაც ოსმალებზედ უძალოდნიათ, იმათ დასაჯვასა. პირველზედ დელიანი ეუბნება, რომ ესა სრულდება და მეორე კი სრულდება საკაროლოში არ მომზადარაო. მრთხელ ერთი ალბანელი მოველა მეორე ალბანელსაო, და ისიც დასაჯა კანონისა მეტრ. მეტრე გადადის მეხუთე მუხლზედ: „არ ვიცი რომელს კანონების დაშლაზედ ლაპარაკობთო თქვენს ულტუმატუმში და გვიბრძანებთ, რომ ისინი შემდეგში აღარ დაშალოთო. აბა, ერთი დაშლილი კანონი გვაჩვენეთო. ქანონების დაშლაზედ საბერძნეთმა უნდა იჩიელოსო. ეს ათი წელიწადია, რაც შევეკარით პირობა, რომ სახლერები ოსმალითს უნდა ჯარით შეენახა, მაგრამ მინც ოსმალითმა ეს პირობა არ შეინახა. შოველითის გადმოიღოდნენ ოსმალითიდან ავაზაკები და სცარცვადნენ ჩვენს სახლერებში ხალხსაო. სჩანს, რომ საბერძნეთი ყველაში მართალია, მაგრამ ოსმალითს უთუოთ ჰსურს ერთმანეთთან შეგაბრობის მოსპობა. ეს არის სამწუხარო, რომ ამ უკანასკნელი მდგომარების დროს არ მიიღო ოსმალითმა სახალხო კანონები, რომელიც არიან განათლებულს ქვეყნებში მიღებულნი. არის წესი, რომ ომის დროს, უნდა ეცადნენ შეემსუბუქონ ბოროტება ომისა იმ პირთათვის, რომელიც არ არიან ამში დამნაშავენი. მეროპაში ომის დროს 1850 და 1863-ში არც ერთმა სახელმწიფომ არ გაჰყარა თავისი მიწიდან მტრის ქვეშევრდომნი. უწინ ოსმალითიც რამდენსამე თვეს აძლევდა ვადათ სახელმწიფოდან გასასლელად. ახლა თქვენა ჰყრით ორი კვირის ვადით იმ პირთა, რომელიც არიან დამნაშავენი მხოლოდ იმაში, რომ საბერძნეთის მოქალაქენი არიან. ეს იმ სიკეთის მაგიერია, რომ ჩვენმა მოვაჭრეებმა ასწივეს თქვენი სარგებლობა და გავრცელეს ვაჭრობა ოსმალითში. ჩვენ ვერ მივბაძეთ ამ გარს უსამართლობასა და არც ოსმალებს გავყრით სახელმწიფოდან. რადგანაც თქვენ გამოაცხადეთ, რომ ხუთის დღის უკან განხალთ საკაროლოდან, ამიტომ უბძანე, რომ ბაშპორთი მოგიშალონ და ქონსტანტინეოლოშიც გავგზავნეთ ცნობა, რომ ათინის ელჩი გამოვიდეს იქიდგანა „დავთები და სხ. დელიანი, ათინა, დეკემბრის 3-სა 1868 წელსა.“

ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ს დ ე ჰ უ ტ ა ტ ე ბ ი ს პ ა ო ლ ა ტ ა შ ი. უცხო ქვეყნების საქმის მინისტრომა სთქვა სიტყვა, რომლიდანაც მოიყვანთ შემდეგსა: „როდესაც ქონსტანტინეოლის ელჩებმა გაცნობეს, რომ ოსმალითთან დიპლომატიური განხეთქილება ხდება აუცილებელიაო, მაშინვე მე გავგზავნე ტელეგრაფები მეროპის სახელმწიფოებში მყოფთ ელჩებთანა და შევნიშნე, რომ ოსმალითს, არაფერი საუფრთხილო არა აქვს—მთქი ამ გვარი მდგომარების მიღებისათვის, და ძალიანაც სცდება, რომ ამითი შეაშინოს საბერძნეთის ხალხი. უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა მიიღეს შუამავლობა საქმის დაჩუმიებისათვის როგორც ქონსტანტინეოლოში, აგრეთვე ათინაში. მლჩნი შრანციისა, ანგლიისა და რუსეთისა მოვიდნენ ჩემთან, რომ დამეკმაყოფილებინა მოთხოვნილება ოსმალითისა. მე უარი უთხარი და ამასთან შევნიშნე, რომ წარმომადგენლებს პირველად უნდა მიემართათ ამ გვარი თხოვნა ოსმალითთან. მიღრე ეს შუამავლობა გათავებოდა ოსმალითმა გამოგზავნა ულტუმატუმში. უცხო ქვეყნების წარმომადგენნი ცდილობდნენ, რომ საბერძნეთს წმინდა-

უარი არ ეთქვა ამავზედა. ისინი ამბობდნენ, რომ საბერძნეთი უნდა დამორჩილდესო რადგანაც იმის მმართველობას უფრო ცოტახალხი ჰყავსო, ვიდრე ოსმალითსაო. რადგანაც ამ გვარი რჩევა იყო იმ სახელმწიფოთაგან, რომელიც ჩვენა გეკომავობდნენ, ამიტომ კაროლის მმართველობა ეძებდა საშუალებასა, რომ დაემშვიდებინა ისინი. მინისტრების რჩევა იყო ექესი საათის განმავლობაში, რომლის თავს მჯდომად იყო კაროლი. რჩევა გათავდა იმითა, რომ დავსდევით ისე არ გვეპასუხნა; როგორც უწინ ვაპირებდით, მაგრამ ჩვენს პასუხში მინც ვერაფერს მოიტანდა ექვესა, რომ ვითომცა გესურებოდეს დამორჩილება ოსმალითისა. ოსმალითს თუნდა უკანვე წაეღო თავისი ულტუმატუმი, მინც შეერცხვენა მოგვცა და ამიტომაც უნდა ასე გვეპასუხნა, (დიდი და ხანგრძლივი ტაშის ყვრა). დასასრულში მინისტრმა მისცა დარიგება, რომ ბერძნებმა ერთგულად და ერთის ხმით იმოქმედონ; ეს არის საჭიროეო, რომ გავიმარჯვოთ ომში, რომელიც არ არის საბერძნეთის მიზეზითა.“

მ ო ხ მ ო ბ ა ხ ა ლ ხ ი ს ა ა თ ი ნ ი ს უ უ ა გ უ ლ ი ს კ ა მ ი ტ ე ტ ი ს ა გ ა ნ .

ათინის კამიტეტმა გამოუცხადა ბერძნებს შემდეგი პროკლამაცია: „ძმანო, თანამემამულენო ბერძენო! უსჯულო კიდევ ადგა ჩვენზედ; იმათ დაუფიციათ, რომ იყენენ ყოველითის მოუბრუნებელნი მტერნი ჩვენის ხალხისა და ჩვენის სარწმუნოებისა. იმათ სწადთ დაამხონ თავისუფალი საბერძნეთი, იმიტომ რომ თავისუფალს საბერძნეთში იმყოფება იმედი და შემდეგი ბედი ყველა ბერძნისათვის. თვითანთის ულტუმატუმით უნდათ გაქამონ სირცხვილი; იმათ სურთ დაამხონ ჩვენი ეპქრობა და ჰსურთ, რომ ჩვენ ვიყვნეთ იმათს მონების ქვეშ, — ჩვენ პატივცემულნი და თავისუფალნი მოქალაქენო. მთელი მეროპა აღდგება წინააღმდეგ ამ გვარის უსამართლობისა. ძმანო, თანამემამულენო! მეროპაშიც და მართალზედ გამარჯვებულა მემკვიდრენო, გულს ნუ გაიტებთ, იყვიეთ ვაჟაკად! სამოცმა ათასმა, მთელი ფაღმონის ჯარიდან არჩეულმა მამარმა ვერ დაამარცხა ამოდენი ხანია ათიოდ ქანდიის ეპქაციანი. მართი ჩვენი გემი აჰუქმებს ოსმალითის მთელს ზღვის ჯარსა. ჩვენც მივბაძით სიმკვიდრით და სივაჟაკით ჩვენთ სახელოვანთ წინაპირთა, ჩვენთ ვაჟაკთ მოძმეთა, რომელიც ომობენ ქანდიის, დაგარწმუნებთ რომ ჩვენი ბაირალი კიდევ იფარფარებს ახლა გაბილწებულს წმ. სოფიოს გუმბათზედ. ძმანო, თანამემამულენო ბერძენო! ნუ გაიტებთ გულსა. ჩვენა ვართ ფხიზელნი თქვენზედ. არ შემოგვკლდება საშუალება. შემდეგი ჩვენია. მოსულაჟამი სიკვილისა უსჯულოთათვის.“ — ათინა, დეკემბრის 21-სა.

პარიში, 28 დეკემბერს. **მაზეთმა** Etendard-მა დღეს გადასთხზა ის ამბავი ვითომც... ჩვენს ჯარი აღუტურავსო. ამ გაზეთში სწერენ რომ საბერძნეთისა და ოსმალითის განხეთქილების დაწყებამდე, რუსეთი მშვიდობიანურათ მოქმედებსო.

— დღეს მოხდა კონფერენციის კრება.

ფლორენსია 29 დეკემბერს (10 იანვარს) ოსტრიული ზავითი აცხადებს, რომ გუშინ იტალიის ყველა მავრებში მშვიდობიანობა იყო; წისქვილები ყველგან დააღეს და დასაუქველი ხარჯი ხაზინაში შეაქვეთ, როგორც რიგია.

პარიში 30 დეკემბერს (11 იანვარს). კონფერენციის პირველი კრების დასკვნა დეკემბრის 28 იყო შემდეგი: კონფერენციის მწევრები აღიარებენ, რომ კონფერენციის ჰაზრი მხოლოდ ოსმალითის ულტუმატუმის განხილვაში შესდგებაო. კონფერენცია დარწმუნებულია, რომ ოსმალითისა და საბერძნეთის მმართველობანი სინდილისანათ თავს შეიმარებენ ყოველს იმ გვარს მოქმედებაზე, რომელსაც შეუძლიან ცხლანდელი მდგომარეობის აღშლა და კონფერენციის საქმის გაძნელება. კონფერენციის მწვერნი მიმართვენ ოსმალითის ზომიერებას და აცხადებენ სურვილსა, რომ კონფერენციის გათავებამდის არ აღასრულოს ის საქმე, რომელსაც აპირობს თავის ულტიმატუმში. საბერძნეთის მმართველობას მიმართავს თავის სურვილსა, რომ მტრული საქმე არა მოახდინოსრა.

შინანსის მინისტრის წარდგინებაში მოხსენებულა რომ შრანციის შემოსავალი 1870 წლისა არის 1,736,000,000 ფრანკი (ხუთშაურონი) გასავალი არის 1,650,000,000.

ლონდონი, დეკემბრის 30-სა. **მაზეთში** Morning Post-ში სწერენ, რომ კონფერენციაში ანგლიის წარმომადგენელმა ნამდვილის ახსნით განაჩინა ბაასი, რომელიც მოხდა რუსეთის წინადადებისაგანაო, რომ ხალხთა შორის კომისია შესდგესო განსახილველათ ბერძნების ჩივილის სიმართლისა და ქანდიის კუნძულის მმართველობის რიგისა.

(ტფილისში მიღებული.)

პეტიტპრეზიდი, 8 იანვარს. **ზანსვენებულის** გენერლის ბეზაკის მაგიერათ დასავლეთ გენერალ-გუბერნატორათ დანიშნეს **ლუნდუკოე-პორსაკოე**; ხოლო სამხედრო მავრის კამანდირათ **პოზლიანოე** 2-რე.

პეტიტპრეზიდი, 9 იანვარს. **პარიში**. 1-ლს იანვარს იყო კონფერენცია. 22 რიცხეს საბერძნეთს უგზავნიან დეკლარაციასა.

საბერძნეთისაგან პასუხის მიღებამდის კონფერენცია-კარგაღებული იქნება.

პეტიტპრეზიდი, 12 იანვარს. **დეკლარაცია** საბერძნეთისა მთავრობისადმი ფიცხლად არის დაწერილი, ასე რომ საბერძნეთი თავის ფლოტს აშალებს პირეისში საომრად.

ქონსტანტინეოლო, 12 იანვარს. ოსმალითის ესკადრამ სირას თავი დაანება, როდესაც მიიღო დარწმუნება, რომ ბერძნის გემი **მნოზისი** გასამართლების განჩინებამდის ნათ სადგურიდან არ გაეა.

მევიპტე ხონთქარს აძლევს ფლოტსა და 50,000 სალდათსა.

ოსმალითი აგრეცლებს აღტურვასა, იმ ფიქრით, რომ საბერძნეთის კაროლი **ზიორგ** ვერ შეიძლებს თავის მინისტრებს მიაღებინოს კონფერენციის გარდაწყვეტილება.